№ 164
შაბათი, 1 აგვისტო, 1898 წ.

1877—1898

ივერია

№ 164
შაბათი, 1 აგვისტო, 1898 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქტორი
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეკატერინე მიხეილის ასული, ალექსანდრე და პავლე მიხეილის ძენი არღუთინსკი-დოლგორუკოვები და ილია ივანეს ძე წინამძღვარიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას, პირველი სამი—დედისას, ხოლო უკანასკნელი სიდედრისას

კნეინა სალომე დავითის ასულის არღუთინსკი-დოლგორუკისას.

პანაშვიდი გარდახილ იქმნება ყოველ დღე, საღამოს $7^1/_2$ საათზედ. გარდაცვალებულის გვამს გამოასვენებენ სადგომიდგან (ჭავჭავაძეს ქუჩა, № 16) ზირკინიან ეკკლესიაში შაბათს, პირველ აგვისტოს, დილის $9^1/_2$ საათზედ. (2—117—2)

კნეინა კუპი ალექსანდრეს ასული და ბარბარე ნიკოლოზ ს ასული აბაშიძისა, კნ. ნინო სვიმონის ასული ჯამბაკურიან-ოლგელიანისა და თავ. ვლადიმერ სვიმონის ძე აბაშიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 2 აგვისტოს მეორმოცე დღეს დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის თავ.

ნიკოლოზ სვიმონის ძის აბაშიძის

გარდაცვალებისას, მისის სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 9 საათზედ და წირვის შემდეგ პანაშვიდი გარდახდილ იქმნება მიცვალებულის საფლავზედ. (1—118—1)

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებისა და ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში

ბუნება და ცხოვრება

ილ. აღ ხაზიშვილისა

ფასი 60 კაპ.

ვინც ზემოხსენებულ მაღაზიებიდგან დაიბარებს არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა 48 კ.
ათის ცალის გაგზავნა ღირს 37 კ. (20—84—16)

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანახმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლადა სცნო, რამდენადაც-კი შეიძლება, ფასი დააწ-

ფელეტონი

ძველი და საშინელი სენი

ერიკ ვეგისა *)

(თარგმანი)

ქალბატონებო და ბატონებო!

ნუ დამემდურებით, რომ ამ ჟამად არ მოვიხსენიე თქვენი უმაღლესი კეთილშობილური წოდება და ღირსებანი, რომელიც იქმნება კანონით გეკუთვნით თქვენ. პირიქით, სწორედ ეს წოდება და სხვა ხარისხი და ღირსება თქვენი გახლავთ საგანი ჩემის ლაპარაკისა. მხოლოდ, უკაცრავად-კი არ გახლდეთ და ყოველსავე ამაზე ლაპარაკი უნდა დავიწყო დასაბამიდგან ე. ი. ქვეყნის დაარსებიდგან, რადგანაც სწორედ იმ დროიდგან გაჩნდა ქვეყანაზედ ადამიანთან ერთად სხვა-და-სხვა წოდებაცა, ხარისხიც და ღირსებაც.

*) ერიკ ვეგი დანიის სახელოვანი მწერალია. ერთი იმისი მოთხრობა, სახელად „ჩინებული კაცი“ დაბეჭდილი იყო „ივერიაში“.

უფალმა ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა და ბოროტ სულს, რომელსაც ყველა სიბოროტეს ვაბრალებთ, ჯერ არავითარი სიბოროტე არ შემოეტანა ამ სოფლად, როგორც მოგეხსენებათ, ყოველივე ჩინებულად გახლდათ მოწყობილი. იყო მხოლოდ ერთი უფალი და ბატონი და ორი ადამიანი, რომელნიც უფალმა მთელის ქვეყნის ბატონებად დააყენა, დასეირნობდნენ თავიანთთვის ედემის ბაღში და ფიქრადაც არ მოსვლიათ ებრძანებინათ, რომ ჩვენმა ქვეშევრდომებმა პატივი გვცენ და რომ დაგვინახვენ, მოწიწებით დაგვიხვდნენ, ქუდი მოგვიხადონ, სალამი მოგვცენ, მძიმედ თავი დაგვიკრანონ. ეს ორი ადამიანი ერთმანეთს შენობით ელაპარაკებოდნენ, სრულებით არა ფიქრობდნენ იმას, მარჯვენა მხარეს რომელმა გაიაროსო და არც ერთს არა ჰქონიათ არც რაიმე ჩინი, არც მედალი და არც ორდენი. მერე დიდხანს გასძლო განა ადამმა ედემში?— მხოლოდ იმ დრომდე, ვიდრე ადამი და ევა კმაყოფილნი იყვნენ ადამიანის სახელით.

მაცდურმა გველმა უჩურჩულა ყურში ევას, რომ შენცა და შენს მეუღლესაც შეგიძლიანთ უკეთესი წოდება მიიღოთ და ღმერთებად გადიქცეთო. ეს საკმარისი გახლდათ. აი როდის ჩაინერგა ადამიანის გულში თესლი იმ საშინელის სენისა, რომელმაც გამოიწვია პირველი ცოდო და რომელიც მას აქედ კბილის ავადმყოფობაზედ უარესად აწუხებს ადამის შვილთ, ამ სენს სახელად ეწოდება კეთილშობილთა თავმოყვარეობა.

რაც მაცდურმა გველმა ევას უჩურჩულა ყურში, ევამ ადამს გადასცა და ორთავენი შეიქმნენ ავად ამ საშინელის სენით, მერე აკრძალულს ხილს მიაწყდნენ, სენი, რომელსაც აქამდე მხოლოდ გულში ჰქონდა ბინა, მთელს სხეულს გადაედო, მოსწამლა სისხლი კაცისა. ადამის შვილთ ეს სენი ისე განუძლიერდა, რომ ერთმა ძმამ მეორე მოჰკლა მხოლოდ იმისთვის, იმისი ლოცვა რად მიიღო ღმერთმა და ჩემი არაო.

კარგად ვიცი, რომ ეს ჩემი სიტყვები ზოგს თქვენგანს შეაშინებს და ზოგსაც ეწყინება, რომ მე საშინელ სენად მიმაჩნია კეთილშობილთა თავმოყვარეობა, რომელიც ბევრს მოსწონს კიდეც და ბევრნი იმასაც ამბობენ, რომ ამ თავმოყვარეობისა გამო ბევრი რამ კეთილი და დიადი გაკეთებულა ამ ქვეყნადაო.

მომითმინეთ, ბატონებო, და იმედი მაქვს ნათლად დაგიმტკიცებთ, რომ კეთილშობილთა თავმოყვარეობა დიახაც რომ ძველი და საშინელი სენია.

ეს სენი უფრო მაშინ გაძლიერდება ხოლმე, როცა ადამიანს ჩინისა ან ორდენის მიღება ჰსურს. ამიტომ კეთილშობილთა თავმოყვარეობის გაძლიერების შესასწავლად საჭიროა თვალი გადავავლოთ ჩინებისა და ორდენების დაარსების ისტორიას.

ვის არ გაუგონია ნემვროდის სახელი. იგი გახლდათ „დახელოვნებული მსროლელი მშვილდ-ისრისა და სახელ-განთქმული მონადირე“. ნემვროდი ისე დახელოვნდა ამ საქმეში, რომ ნადირს თავი დაანება და ხალხზე დაიწყო ნადირობა. ამ ნადირობას სახელად ეწოდა ომი. ნემვროდის თანამედროვეთ ერთი-ღა დარჩა, ან ნადირის მაგიერობა უნდა გაეწიათ და ან კიდევ თითონაც სხვებზე დაეწყოთ ნადირობა და, მაშასადამე, დაჰმორჩილებიყვნენ ნემვროდს, ვითარცა უკეთესს მონადირესს და თავიანთ თავადს. აი, ასე გაჩნდა ქვეყნად ბატონობა.

ნემვროდის მხლებელთა შორის ბევრი ძლიერ კარგად დახელოვნდა მხედრობაში და ადამის სხვა ძეთა ხოცვაში. ამათ ნემვროდმა სახელად უწოდა მხედარი ანუ რაინდი. რაინდებს ფეხებზედ დეზები ჰქონდათ და ხელში მახვილი ეპყრათ. ამ ღირსებათა გამო რაინდებს ყველანი პატივსა სცემდნენ, სალამს აძლევდნენ, გზას უთმობდნენ, ბატონის ახლოს ადგილსაც უთმობდნენ სადილის დროს და როცა-კი სადმე შეხვდებოდნენ, მძიმედ ქუდს უხდიდნენ. აქ ჯერ საკვირველი არაფერია.

ხოლო ნემვროდსა ჰყავდა მრავალი ნათესავი და მეგობარი, რომელ-

ლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

ფას-დაკლებით წიგნები მარტო ამხანაგობის კიოსკში იყიდება. ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ. ქალაქ-გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское издательское Товарищество.

წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:

თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფასქსიმილეთი, ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე.	1—„
თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფასქსიმილეთი	„—50
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი	„—10
ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (ჰსეუდონიმი) . .	„—20
თხზ. ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფასქსიმილეთი I ტომი	„—70
იგივე II ტომი.	„—60
იგივე III ტომი	„—60
იგივე IV ტომი (ორ წიგნით)	„—80
სოფლის კუნწულა დ. მაჩასანელისა.	„—10
თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა I ტ.	„—60
„ „ იგივე II ტ.	„—60
თხზ. რ. ერისთავისა I ტ.	„—60
არაკები საბა ორბელიანისა, ბავშვებისათვის	„—25
საბრძნე-სიტრუკე მისიკე . .	„—40
საქართველო და მისი წარსული დრო პოტტოსი . . .	„—20
აიკენგო კოლტერ სკოტისა	„—50
ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	„—15
გაბრიელ ეპისკოპოსი სურათით	„—15
სამზარეულო ქართული და კერძოპიული საჭმელებისა . .	1—20
ღვინის დაყენება პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა . .	1—50
ბალავარი	„—30
ტეტხლითა და მახვილითა . .	„—80
დასტურ-ლამა	„—10

ვინც აქ გამოცხადებულ წიგნებს ყველას ერთბაშად იყიდის, დაეთმობათ 14 მანეთათ. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ გაეგზავნებათ წიგნები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წიგნების ფასთან ფოსტის ხარჯსაც გამოგზავნიან ერთს მანეთს.

ამ ფასებად წიგნები გაიყიდება მხოლოდ 1 ოქტომბრამდე.

წარსულის წლების ჟურნალი „მოამბე“ გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—7 მანეთად და 1896 და 1897 წ. წ.—5 მანეთად. მხოლოდ ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის „მოამბე“-ზედ ფოსტის ხარჯად 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. (10—6—9)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ს. ი. რუდენკო. $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ.ი. ბაბანასიანცი.—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ს. ბ. კარაბეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ს. ბ. ბურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

ვ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

ბ. ს. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; არიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ ვერცხლის მედლები „დაღუპვისაგან გადარჩენისათვის“ ზედ-წარწერით, სოხუმის საერობო დარაჯის მხედრებს კადირ ხანაგუას და კაპის კამკიას.

გადაყვანილ იქმნა გორის სამაზრო პოლიციის გამგეობის შტატს გარეშე მყოფი მოხელე, კოლეგსკი ასესორი ქარუმიძე—ტფილისის სამაზრო პოლიციის გამგეობაში.

ახალი ამბავი

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი დღეს, 1 აგვისტოს, აბასთუმნიდგან ტფილისს დაბრუნდება.

⁂ ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი დღეს, 1 აგვისტოს, გორის მაზრაში გაემგზავრება.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო, რომ დღეს, 1 აგვისტოს, ამქრებმა გამოიტანონ თავიანთი ბაირაღები წყლის კურთხევაზედ დასასწრებლად.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა სთხოვა ტფილისის პოლიცმეისტერს, რომ თვალ-ყური ადევნონ, რათა ქალაქის გამგეობამ ხელ-ახლად არ დაჰბეჭდოს ტივები, რომელნიც ეხლა ბაჟისაგან განთავისუფლებული არიან.

⁂ საგუბერნიო ტეხნიკოსებისაგან შედგენილმა კომისიამ გუშინწინ დაათვალიერა ქართველთა თავად აზნაურობის თეატრი და მრავალი ტეხნიკური ნაკლებულობა ჰპოვა. სცნო აგრეთვე, რომ ცეცხლისაგან საკმაოდ უზრუნველ ყოფილი არ არისო. ვუშინ ეს ამბავი ტფილისის პოლიცმეისტერმა აცნობა თეატრის გამგეობას და შეუთვალა, რომ ვიდრე ამ ნაკლებულებას არ შეავსებთ, წარმოდგენების გამართვის ნებას არ მოგცემთო.

⁂ ტფილისის საჰოს იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების საქმე, 29 ივლისის კრებაზედ დაადგინა, რომ ინჟენერს ნ. ი. კარაპეტოვს მიენდოს იმის გამოკვლევა, თუ პოლიტეხნიკუმის სამექანიკო განყოფილების დაარსება - შენახვას ერთხნობით და მუდამ წელს რა თანხა დასჭირდებაო.

⁂ 30 ივლისს ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგურში საიჯარადრო ვაჭრობა გაიმართა იმის შესახებ, თუ ვინ იკისრებს ქალაქს აძლიოს მუდამ დღე საჭირო ცხენები ცხენის რკინის გზის საწარმოებლადაო. ვაჭრობის დროს ტიტე ფეფელოვმა განაცხადა, რომ ყველაზე მცირე ფასად მე ვიკისრებ ამ საქმესაო, სახელდობრ დღეში 13 მან. და 20 კაპ. მოგცემთ ერთის ვაგონისათვის საჭირო ცხენებსაო. ერთს ვაგონს დღეში 9 ცხენი უნდება თურმე.

⁂ მთელის რუსეთის ბაღოსანთა მომავალ კრებაზედ დასასწრებლად, რომელიც უნდა მოხდეს კავკასიაში აგვისტოს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ არჩეული იქმნა საზოგადოების წევრი ს. ნ. ტიმოფეევი.

⁂ დღეიდგან დაიწყობს მოქმედებას მეფუტკრეთა კრების ტფილისის სესსიის ბიურო, რომელიც შესდგება თავმჯდომარისა ვ. ი. ლისნევსკისა, იმის ამხანაგის ვ. პ. ივანოვისა, მდივნის ს. ს. კოვალევსკისა და წევრების ე. ა. ილინასი, კ. ა. სტრუმილლოსი, პ. ი. სმირნოვისა, გ. ს. კირიჩენკოსი და კ. მ. ზანისისაგან. ამ უკანასკნელს მინდობილი აქვს თვალ-ყური ადევნოს მეფუტკრეთა გამოფენის გამართვის საქმეს. ბიუროს უკვე 16 კაცმა გამოუცხადა, რომ მოხსენებებს წაიკითხავთო. მოხსენებებს წაიკითხავენ შემდეგის საგნების შესახებ: 1, საუკეთესო საშუალება ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა შორის მეფუტკრეობის გავრცელებისა, 2, მეფუტკრეობის მდგომარეობა კავკასიაში, იმისი განსაკუთრებული თვისება და საჭიროებანი, 3, კავკასიის ფუტკარი, იმისი ჯიში და თვისება, 4, მ. ფუტკრეობა დაღესტნის ოლქში, 5, მეფუტკრეობა გომბორში და მრავალი სხვა.

იმათ, ვისაც ჰსურს გამოფენაში მონაწილეობა მიიღოს, უნდა მიჰმართონ გამგეობას კ. მ. ზანისსა და გ. ს. კირიჩენკოს შემდეგის აღრესით: Тифлисъ. Кавказская шелководственная станція.

⁂ თელავის საფილოქსერო დასის ექსპერტის თანაშემწემ თავ. ნაკაშიძემ ვრცელი ანგარიში წარუდგინა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას იმის შესახებ, თუ ვის აღმოჩინათ დახმარება წარსულ წლის მოუსავლობის გამო საზოგადოების მიერ გადადებულ ფულით. კერძო საეკონომიო საზოგადოებისაგან გამოგზავნილ თანხიდგან თელავის მაზრის დაზარალებულთა სასარგებლოდ გადაიდო 600 მან. და ეს ფული ისე მცირე იყოო, რომ ფული დაურიგდათ მხოლოდ იმ გლეხთ, რომელთაც არავითარი შემოსავალი არა ჰქონდათ წარსულს წელს, სახელდობრ 31 სოფლის 356 კომლს გლეხს და თითო კომლს მიეცა 1 მან. 68½ კაპ. ანგარიშს დამატებული აქვს სია იმ გლეხებისა, რომელნიც მეტად გაჭირვებულნი არიან მოუსავლობით და კომიტეტის წევრის ბ-ნ მელაძის აზრი, რომელიც სწერს, რომ მოუსავლობის თავიდგან ასაცილებლად საჭიროა: 1) ხელი შეეწყოს ხალხის განათლებაგანვითარების საქმეს სასწავლებლის დაარსებით; 2) დაარსდეს გლეხთათვის შელავათიანი კრედიტი; 3) განუკეთესდეს გზები და 4) გაყვანილ იქმნას არხები მამულების მოსარწყავადაო.

⁂ ქალაქის გამგეობამ მიანდო ტეხნიკოსს მელიქ-ბეგლიარიოვს იმ კედლის გამაგრება, რომელიც მტკვრის პირის ქუჩას იცავს წყლისაგან და რომელიც უკანასკნელად მოსულ წვიმებისა გამო დაზიანდა.

⁂ ტფილისის მოქალაქემ გეურქ მიკირტუმოვმა გამოუცხადა პოლიციას, რომ ოთახიდგან 440 მანეთის ტანისამოსი მომპარესო. ქურდებმა ფანჯრის შუშა გატეხეს და იქიდგან შეეიდნენ ოთახშიო. მიკირტუმოვმა ეჭვი მიიტანა სიღნაღის მცხოვრებლებზედ არშაკ მარქაროვსა და დავით გვარამაძეზედ; პირველი მათგანი შეიპყრეს, ხოლო მეორე სადღაც დაიმალა.

⁂ გაზ. „კავკასს“ სწერენ ყაზბეგიდგან: „ამ დღეებში აქ მეტად საზიზღარი ამბავი მოხდა. ვ-ღაც ბ-ნმა ლ—ვმა, რომელსაც თავის თავსა და უფლებაზედ მეტად დიდი წარმოდგენა აქვს, ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანა თანამდებობის აღსრულების დროს სტეფანწმინდის მამასახლისი, ყოვლად ღირსეული და ყველასაგან პატივ-ცემული კაცი. ამასთან ძეწკვიც ჩამოაგლიჯა. საცოდავ მამასახლის ისე ძლიანა სცემა, რომ თუ სიკვდილს გადარჩა, სამუდამოდ ჯან-მრთელობას დაჰკარგავს. ადგილობრივი მცხოვრებელნი ძალიან არიან აღელვებული ამ ამბით და იმედი აქვთ, რომ დამნაშავე დაუსჯელი არ დარჩება. არა ნაკლებ აღელვებული არიან თვით იმ წოდების მოხელენიც, სადაც ამ საზიზღარის ამბის გმირი მსახურებს“.

⁂ 30 ივლისს, საღამოს 8½ საათზედ, მიხეიდის ქუჩაზე, ნაუმენკოს სახლში, უეცრად გარდაიცვალა კერძო გვაქალი ა. მ. მუნთოეკი.

დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბები)

ს. ხელთუბანი, (გორის მაზრა), 28 ივლისი. ჭირნახულები ჩაიმკა და ჩაითიბა. ახლა კალოობაა გახურებული. გამოსავალი რიგიანი გამოჰყვა, ასე რომ ურემი (სამოცი ძნა) სამს კოდს იძლევა (12 ფ.), თუმცა ურემზედ სამი კოდი ბევრი არ არის, მაგრამ როცა ოთხსა და ხუთ კოდს იძლეოდა ურემი, ის დრო წავიდა. მამული გამოიფიტა. ძველი კაცები ამბობენ, თუ ობიანი არ გადასულიყო ხნული, მიწას არ მოვხნავდითო. დიახაც რომ მაშინ საუნახაო მოსავალს მოიყვანდა. მაგრამ ის დრო წავიდა და ის მიწებიც თან გაჰყვა. ეხლა კორდს კი არა, ერთი წლის ყამირ-ნაწვერალსაც ვეღარ შეჰხვდებით. მიწას ძალა გამოეცალა. მუდამ წელიწადს იხვნის, გვერდს იქცევს და რაქნას მიწამაცა. როგორც კაცი და საქონელი დაიღალება, ისე მიწაო, იტყვიან ხოლმე ჩვენში და მართალიც არის. აქაური მიწები თითქმის სულ საბატონოა და მოიჯარადრეების ხელშია. იჯარადარს აინუნშიაც არა აქვს,—მიწა დაიღლება, თუ დაისვენებს,—იმას ის უნდა, რასაც მეტს ღალას აიღებს და მეტს გამოჰრჩება მიწას. გლეხმა რაღა ჰქმნას? ვისი მიწა გააპატიოს?! ამიტომაც არის, რომ ჩვენს სოფლებში ასე უყამურად ექცევიან პატივს და იმის მაგივრად, რომ მიწებში გაზიდონ და გააპატიონ, ხევებში ჰყრიან და წყალს მიაქვს. სიკეთე მოგეცეთ, რომ ვისაც საკუთარი მიწა აქვს და აპატიებს, იმას მოსავალი მოსდის. დიახაც რო მოუვა რაც სამ დღიურს გაუპატიებელზე მოვა, ის ერთ დღიურ გაპატიებულზედ სულ ჩქარა მოვა. აბა რა ვქნათ? იცის ჩვენმა გლეხმა ყველა ესა, მაგრამ აქაც კიდევ ხელის წამმართველი ეჭირვება. მართლაც-და, რა არ მოდის აქ გაპატიებულ ადგილზე, ვენახია, თუ მინდორი, თუ კი ირწყვის უხვად. სწორედ გაშტერდება კაცი. ვიტყვი ხოლმე, ამისთანა მამულ-დედულის პატრონი ღარიბები უნდა იყვნენ, მეფეჭი-�е—დუხაბორებსაც ის არ უკვირდათ; ამ მამულზე მდგომ კაცს განა ცხოვრება უნდა გაუჭირდესო.—ეჰ, თქვე დალოცვილებო, მამულის მოვლა რო ვიცოდეთ, ხო ადარც ღარიბები ვიქნებითო, მეტყვის საბუთიანად მკითხველი. თუმცა ნახევარ კალოობა კიდეც გათავდა, მაგრამ ხალხი ჯერაც არ გამაძღარა, ისევ ისე დაქიმიტულია. ასე გონია, ისევ ისე შიმშილობა არისო.

მოგეხსენებათ, ამას წინათ ვწერდი, მთავრობა პურის სესხებას დაჰპირდა მეთქი ხალხსა, 26 მაისს სიებიც შეადგინეს, განაჩენიც დავადგინეთ, რომ ერთმანერთის თავდებობით ვთხოულობდით პურსა და ერთმანერთის თავდებობით უნდა გადაგვეხადნა კიდეც, მაგრამ 26 თიბათვემაც გაიარა და პური მაინც არსადა სჩანდა. თან ქერებიც გაიჭრა და აქეთ იქით ახალი პური გაჩნდა. სოფელმაც ისა სთქვა, რომ როცა გვიჭირდა, თუ მაშინ არ მოგვაშველეს, ეხლა როცა ახალიც გაჩნდა, ქალაქიდამ სესხის ზიდვას, ისევ ჩემის მეზობლისაგან ვისესხო ის მიჯობსო, საცაა, ჩემსასაც მოვმკიო. მართლაც, ბევრმა ისევ მწვანე მომკო და ის გალეწა. რაკი ასე დაიგვიანა პურის სესხმა, სასოფლოდ ისევ განაჩენი დაადგინეს და უარი შეუთვალეს: თუ აქამდე მოგვცემდით, დიდი მადლობელი ვიყავითო, და ეხლა კი თქვენი შემწეობა ალარ გვეჭირვება, ახლა ჩვენმა მოსავალმაც მოგვასწროვო. ასე გათავდა ჩვენი დახმარების საქმე. რას იქ, ქვეით სოფლებს რო დაურიგეს ფქვილები იქ თავდებად ყველასგან ცნობილი ფრიად პატივცემული თავადი ი. გ. ამილახვარი დაუდგა და ჩვენს სოფელს კი არა ვინ გაუწევდა თავდებობას! ასე იყო, თუ ისე, ამ შიმშილობას სხვისა დაუხმარებლად თავი დავახწიეთ და ამას იქით რაც იქნება, უწყის ღმერთმა, ხოლო ამას კი ვიტყვი, რო არ არის კირგი, როცა ხალხი სხვისა ხელის შემხედვარობას ეჩვევა, თავის თავის იმედი დაუკარგნია და სხვას შესცქერია, მიშველოს რამეო. დღემდე ჩვენს ხალხს ჯერ ეს სენი არ შეჰყრია და თუ ამას

თაც არც მხედრობა იცოდნენ, არც ხალხის დახოცვა, მაგრამ თავმოყვარეობა კი დიდი ჰქონდათ. ამათ მიჰმართეს ნემვროდს და სთხოვეს, ჩვენც რაინდობა გვიბოძეო.

— ბატონი ბძანდებითო!—უპასუხა ნემვროდმა. ისწავლით თუ არა მხედრობასა და ხალხის დახოცვას, ომში წაგიყვანთო.

ხოლო ამათ ეს როდი უნდოდათ. იმათი სურვილი გახლდათ მხოლოდ, რომ ხალხს იმათთვის გზა დაეთმო, ქუდი მოეხადნა და ყველას ამ სიტყვებით მიემართნა: „ბატონო რაინდო“!

— ეგ გინდათ, მეტი არაფერიო?

— ჰკითხა ნემვროდმა, აიღო ხმალი და თითოეულს ყუით სამ-სამჯერ უთაქა კისერში და მერე ჰკითხა, ჰგრძნობთ, თუ არა ეხლა, რომ რაინდები ხართო? რაღა თქმა უნდა, რომ იგრძნეს და ისიც როგორ? რადგანაც ჩვენ რაინდობა თვით ნემვროდმა გვიბოძა, ამიტომ სხვა რაინდებზე უფრო წარჩინებულნი ვართო. სთქვეს ესა და გადიკიდეს იმ სიგრძე ხმლები, რომ იმათ სატარებლად თითო მსახური დასჭირდათ და ფეხებზედაც ოქროს დეზები გაიკეთეს. ხალხიც ამ რაინდებს უფრო დიდს პატივსა სცემდა, ვიდრე სხვებსა.

როდესაც ნამდვილმა რაინდებმა შეამჩნიეს, რომ ნემვროდის მიერ ასე უცბად „შექმნილ“ რაინდებს უფრო დიდი პატივი აქვთო, მიჰმართეს ბატონს და სთხოვეს, ჩვენც ეგეთი რაინდობა გვიბოძეო. ნემვროდი გულში იცინოდა და ყველას უთაქა კისერში. მას აქედ ბატონს უფლება მიენიჭა თვისის ხელით რაინდების „შექმნისა“. რაინდების „შექმნა“ გავრცელდა ყველა იმ ქვეყნებში, სადაც-კი მძვინვარებდა საშინელი სენი—კეთილშობილთა თავმოყვარეობა. რაინდობა ჩამომავლობითი გახდა და საკვირველი ის არის, რომ რაც უფრო დიდი ხანი გადიოდა რაინდობის შექმნის დღიდგან, მით უფრო კეთილშობილად და ღირსეულად ითვლებოდა რაინდთა შთამომავალი.

ამ გვარად რაინდთა რიცხვი აუარებელი გახდა. ბოლოს ისე ბევრი რაინდი აღმოჩნდა და მათ შორის ისე ცოტა იყო სამსახურისათვის გამოსადეგი, რომ ბატონებმა გადასწყვიტეს ნამდვილ რაინდთა ცალკე წოდება დაეარსებინათ და ყველა ამათ ჯვრებს ურიგებდნენ ნიშნად. რაინდობა კაცს მამა პაპისაგან ალარ ეძლეოდა, არამედ თითონ უნდა და ემსახურებინა. ამიტომ ჯვარს უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე რაინდობას. მაგრამ დიდ ხანს არ იყო ესე.

„უწინდელი ნემვროდები ისე იქცეოდნენ, როგორც ეხლანდელი მოახლე ქალები, რომელნიც ისე დიდს ჯამაგირს არ აფასებენ, როგორც ბატონის ალერსს. გაჩნდებოდა ბატონის სასახლეში მხიარული კაცი, გააცინებდა ბატონს, გაამხიარულებდა და ჯვარს გაიკრავდა. ლამაზი ქალი გულს მოუკლებდა ბატონს და ქმარს ჯილდოდ დიდი ჯვარი ეძლეოდა. ახალწელიწად დღეს კი, როდესაც ბატონს თავში ნუნუა შეუჯდებოდა, მუქით გადუყრიდა ხოლმე ჯვრებს მოსალოცად მოსულ ავადმყოფთ, კეთილშობილთა თავმოყვარეობის სენით შეპყრობილთ. „არიქა, ვინ ხარ მამაცი, დაიჭირეთ ჯვრებიო!“

ამ გვარად, ჯერ ისევ ნემვროდ XI დროს, თითქმის ყველა კაცსა ჰქონდა ჯვარი, თუმცა ბევრს არავითარი ღირსება არა ჰქონდა გარდა კეთილშობილთა თავმოყვარეობისა. შესაძლებელი იყო ჯვარის მიღება კითხვითა, თვლითა, სიმღერითა, ცეკვითა და თხოვნა-მუდარითა. ბატონები ჯვარს აძლევდნენ კაცს თავაზიანის ქცევისა, ღორის გაშენებისა, ჭიანურის დაკვრისა, კარგის ლექსებისა და ხშირად ცუდის ლექსებისათვისაც.

ნემვროდ XIII დროს საქმე იქამდე მივიდა, რომ როდესაც ბატონს ერთად-ერთი კაცი უჩვენეს, რომელსაც ჯვარი არა ჰქონდა, ნემვროდმა გაკვირვებით იკითხა: „განა გაუკეთებია რამე მაგ კაცსაო?“ სჩანს, ჯვარის მიღებისათვის იმ დროს საკმარისი იყო კაცს არაფერი გაეკეთებინა. ჩვენს დროში მრავალ დარბაისელ ერთა შორის ისეთი საოცარი წესწყობილებაა ორდენების შესახებ, რომ სჯობს არაფერი ვსთქვა. ეს წესწყობილება ისე საოცარია, ისე საოცარი, რომ რასაც შენის თვალითა ჰხედავ, ისიც არა გჯერა, არა თუ ის დაიჯეროთ, რასაც ყურით გაიგონებთ.

ჩინების დაარსების ისტორია ბევრით არაფრით განირჩევა ორდენების დაარსების ისტორიისაგან.

ბატონი ნემვროდ I ძლიერ გონიერი კაცი იყო და სიამოვნებით ისმენდა ხოლმე კარგს რჩევას. რჩევისათვის იმ მხლებლებს მიჰმართავდა ხოლმე, რომლებიც-კი ძლიერ გონიერებად მიაჩნდა. ამიტომ ამ მხლებლებს სახელად უწოდეს მრჩევლები ანუ სოვეტნიკები, რადგანაც ამ გონიერ კაცების რჩევას ხშირად იგონებდა ხოლმე ბატონი და შესაფერს კანონებს გამოსცემდა ხოლმე, რა თქმა უნდა, რომ ამ სოვეტნიკებს დიდი სახელი ჰქონ-

იქით შეეყრება, იყავნ ნება ღვთისა.

წრეულს იმედი გვაქვს აღარ მოგვშიოდეს. პური რიგიანი მოვიდა, ქერები საუცხოოა. სიმინდები კიდევ უკეთესია. მაინც შარშანაც სიმინდმა დაიოკა ხალხი და წრეულაც კაი საქმეს გვიზამს. პური ჯერ ისევ ოთხი მანეთია კოდი, იმედია, მერე დაიწევს. ქერი მგონი შვიდ აბაზად გადის, სიმინდი-კი ჯერ არ არის. ვენახებს ძალიან გვისხია. რაც ამ ექვსმა წელიწადმა დააკლო, სულ ეხლა შეუსრულებს. ვაზი ძალიან საღად არის. თუ სადმე პატარა ნიშანი იყო ბლეკროტისა, ან ობისა, წრეანდელმა საშინელმა გვალვამა და სიცხემ მოსპო. ღვინო იმდენი მოგვივა, რომ მეღუქნეები მგონი შიმშილით დაიხოცნენ.

ჩვენი სადარდებელი კიდევ ის არის, რომ ჩვენს სოფელშია ერთი შესანიშნავი წყარო. ამ წყაროს, თუ არა ვცდები, თავის გეოგრაფიაში ვახუშტიც იხსენიებს ავასკუტად. ეს წყაროა და მთელი სოფელი. როგორც გარდმოცემა მოგვითხრობს, ეხლანდელი სოფელი წინად ზევით, ორი-სამის ვერსის მოშორებით, ყოფილა, სადაც ადიას საყდარია და „გორაკეები“ და ხევთუბანი რქმევია, ამ სოფელში შვიდასი კომლი მდგარა. წყლად მეჯუდა უსვამთ. ეხლა იქ, სადაც წყაროა და წმ. გიორგის ეკკლესია სდგას, ისეთი გაუვალი ლელი ყოფილა, რომ საქონელი რო შესულიყო შიგა, ვერა გზით ვერარ იპოვნიდნენ. თურმე კვერნაკზედ ავიდოდნენ, იქიდამ გადმოჰხედავდნენ ჭ სადაც დაინახავდნენ საქონელს, მერე ანდით მივიდოდნენ. ხევთუბნელი კაცი სანადიროდ ყოფილა. ჭალაში ირემი დაეჭრია, გამოჰქცევია ირემი და ამ წყაროსთან შევარდნილა ჩალაში. შეჰყოლია მონადირეც თანა და უნახავს, რომ დაჭრილი ირემი, ჭრილობისაგან გალექებული, ცივს წყაროში ჩაგდებულა. წამოსულა ეს მონადირე და შეუტყობინებია სოფლისთვის, რომ ღმერთმანი ამა და ამ ადგილას ამისთანა და ამისთანა წყარო არისო. აყრილა ბოლოს სოფელი და აქ, ამ წყაროს ირგვლივ, ჩამოსულა. ლელი გაუტეხიათ, წყარო გამოუჩენიათ, ირგვლივ ქვითკირი შემოუვლიათ და დამდგარან. კარგა მოზრდილი წყალი გამოდის, როცა მომატებულია, დღე-ღამეში 100,000 ვედრას იძლევა და ზაფხულობით 60,000 ვედრას. ზაფხულში 9 გრადუსი სითბო აქვს. წყაროში წყლის გასაწმენდად განგებ თევზია გაჩენილი. თუ როგორ უფრთხილდებიან ამ თევზებს, იქიდგანა სჩანს, რომ თუ ვისმე ჭიჭყინა ჩაუყვა კოკაში, ისევ წყაროში უნდა ჩაგდოს. თუ ამ წყაროში თევზი დაიჭირა ვინმეო, მაშინვე დაშრებაო. ახალწელიწადს ყველა ოჯახის უფროსი მოვალეა ჩავიდეს დილით უთენია წყაროსთან და მიულოცოს, თან პურისა და ქერის მარცვლები ჩაყაროს შიგა. ამბობენ, ამ წყაროს სათავე უსანეთის მთაში არისო. მაღლა მთიდგან ერთი დიდი ნაკადული გადმოჰქუხს და მიწაში იკარგებაო. სწორედ ის წყალია აქ მილებით გამოყვანილიო. მილები სამების ქვეშ გამოდისო. (სამება ქართველების ეკკლესია არის აქა). ამ ათის—თხუთმეტის წლის წინად ეს წყარო დამშრალა და მთელი ორი-სამი წელიწადი თურმე ცვარი აღარ გამოდიოდა. თათრები მოეყვანათ, ეთხარათ ბევრი, მაგრამ ვერას გამხდარიყვნენ. ამ დროს სამებას სამრეკლო დანგრეული ჰქონდა. ეთქვათ, სწორეთ რაკი სამებას სამრეკლო დანგრეული აქვს, ეს წყარო იმიტომ დაშრაო. მართლაც, სომეხსა და ქართველს ყველას თანაბრად გამოელო შესაწირავი და მშვენიერი საზარე აუშენეს. წყარომაც ბევრი აღარ დაახანა და გამოჰხეთქაო ისევ თავის თავად. ამბობენ, იქ მთაში რო ის წყალი ვინმემ სხვა ადგილას გადუგდოს, მაშინვე მოსწყდება წყაროვო. ასეა თუ ისე, ეს სოფელი ამ წყაროს შესცქერის. რაც ამ წყაროთი ირწყვის, საუკეთესო მამულად ის ითვლება და ფასადაც ერთითა და მეტად ჰფასობს.

აქეთკენ საკმაოდ აგრილდა. ცოტა კალოს უშლის ხელსა, თორემ წვიმა მინდორს ძალიან უჭირდა.

თ. რაზიკაშვილი

რუსეთი

—

ამ ჟამად პეტერბურგის გზათა საინჟენერო ინსტიტუტის მთავრობამ მოსპო იმათ თხოვნების მიღება, რომელთაც ჰსურთ ამ ინსტიტუტის სტუდენტთა შორის ჩარიცხვა, რადგან უკვე 700 კაცმა შეიტანა თხოვნა და თავისუფალი ადგილი-კი მხოლოდ 100 კაცისათვის არის.

— პეტერბურგის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში შესვლის მსურველთა თხოვნები მიღებულ იქმნება 10 აგვისტომდის. ამ ჟამად ინსტიტუტის მთავრობამ უკვე მიიღო 700 კაცის თხოვნა და ინსტიტუტში-კი მიღებულ იქმნება მხოლოდ 243 კაცი.

— სამხედრო სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ ყოველ კადეტთა კორპუსის მთავრობა მოვალეა დღიური იქონიოს, რომელშიაც უნდა აღინიშნებოდეს ხოლმე ის, რასაც შემდეგში მნიშვნელობა ექმნება ამ სასწავლებელთა ისტორიისათვისაო.

— განზრახვა აქვთ შუამდგომლობა აღძრან იმის შესახებ, რომ კიევშიაც იქმნას დაარსებული დედათა სამკურნალო ინსტიტუტიო. ამ ინსტიტუტის დასაარსებლად შემოწირულებათა შეკრებას უკვე შეუდგა თურმე „წითელ ჯვრის“ საზოგადოების კიევის განყოფილება.

— სამკურნალო დეპარტამენტის მიერ შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, რომ წარსულს 1897 წელს კბილის ექიმობას მისდევდა თურმე 1139 კაცი, რომელთაგან კბილის ექიმობის მოწმობა 141 კაცსა ჰქონია და დანტისტისა—998 კაცს. 1898 წელს ეს რიცხვი ავიდა 1325 კაცამდის, რომელთა შორის კბილის ექიმია 245 კაცი და დანტისტი—1080.

უცხოეთი

—

ესპანია და შეერთებული შტატები. ამ დღეებში ოთხი თვე შესრულდება მას შემდეგ, რაც ესპანიისა და ამერიკის ომი დაიწყო. ოთხი თვე დასჭირდა, ვიდრე ესპანია თავის უძლურებას დაინახავდა, დარწმუნდებოდა, რომ მას ამერიკას თან ომი არ შეუძლიან და ზავს მოითხოვდა. კიდევ კარგი, რომ დღეს მაინც, ოთხის თვის შემდეგ, გონს ჩავარდა ესპანიის მთავრობა და ომის მოსპობა მოიწადინა. ესლა წინანდელი პატრიოტული ხმები: „ამერიკას არასოდეს არ დაუთმობთ, ჯანასკნელ სისხლის წვეთამდის ვებრძოლებთ“, აღარსად აღარ გაისმის. ომის განგრძობის მომხრე ესპანიაში ესლა მგონი მარტო მარშალი ბლანკო-ღა. დანარჩენნი, მარშალ კამპოსიდგან დაწყებული კასტოლიარამდე, იმ აზრს ადგანან, რომ ბრძოლას ბოლო უნდა მოეღოსო. მარშალ კამპოს, რომელიც დღემდის დიდი წინააღმდეგი იყო ზავისა, უთქვამს, რომ ომის განგრძობა ესლა დიდი სისულელე იქმნებოდა. რაც შეეხება ესპანიის სახლს, სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებას ისინი დიდის სისარულითა და აღტაცებით მიეგებნენ. ასე გასინჯეთ, კუბასა და პორტო-რიკოში მეოთე ესპანიის ჯარსატ-კი დაეკარგა ოთხელვე ხალისი ბრძოლისა. პორტო-რიკოში ესპანიის ჯარი თითქმის არავითარ წინააღმდეგობას აღარ უწევს ამერიკელებს და ქალაქს ქალაქზედ უთმობს. ესპანელნი დარწმუნებული არიან, რომ პორტო-რიკო ამერიკას დარჩება.

— ესპანიის გაზეთები ოთხელ დღე ჭკიტხავენ და დიდ საყვედურს უცხადებენ ესპანიის მდიდარ ბურჟუაზიას, რომელიც აინუნშიაც არ აგდებს ესპანიის აწინდელ გაჭირვებულ მდგომარეობას და ქეიფში ატარებს დროს. მართლაც და გაზეთების მოწმობით, ეს ბურჟუაზია ისე იქცევა, რომ თითქოს ესპანია იმის სამშობლო-კი არ იყოს, არამედ რომელიმე გადაკარგული ქვეყანა. მას არაფერი არ აღონებს და არ აღარდებს: არც სამშობლოს დამარცხება, არც იმის ხაზინის დაცარიელება. „La Corr. Militar“-ი ურჩევს ესპანიის ყველა გაზეთს, რაც შეიძლება მეტი სწერონ და ილაპარაკონ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომ როგორმე გამოაფხიზლონ იგი და რაიმე წვლილი გამოადებინონ სამშობლოს სასარგებლოდ. ამ გაზეთის სიტყვით, მხოლოდ მდიდარ ბურჟუაზიას შეუძლიან გაჭირვებიდგან დაიხსნას გაკოტრებული ესპანიის ხაზინა.

— თუმცა სამშვიდობო მოლაპარაკება შაგვე დაიწყეს, მაგრამ ბრძოლა ესპანიისა, ამერიკისა და მეამბოხეთა შორის ჯერ არ შეწყვეტილა. მადრიდიდგან დეპეშით იუწყებიან: „პინარი დელ-რიოს პროვინციაში, გუანების მახლობლად, 400 კაცისაგან შემდგარი მეამბოხეთა ბრბო თავს დასხმია ესპანელთა მცირე რაზმს და ცხარე ბრძოლა ასტეხა. თუმცა მეამბოხენი დამარცხდნენ, მაგრამ არც ესპანელთ დაეყრათ ხეირი: მათგანი მხოლოდ ერთ უნტერ-ოფიცერი და 10 ჯარის-კაცი გადარჩა.“ შეტაკება ესპანელებს და მეამბოხეებს შორის მომხდარა აგრეთვე ბელეიე დელ-ესტერშიაც. აქ გარსია თავის რაზმით დაჭხვედრია ესპანელთ ჯარის ნაწილს, რომელიც ხოდგინში მიდიოდა თურმე უმთავრეს ჯართან შესაერთებლად. გარსიას გზა არ მიუცია და უკან დაუბრუნებია ესპანელნი. კუბიდგანვე იუწყებიან, რომ მეამბოხეთ ესპანიის ერთი ტხენოსანთა რაზმი დამარცხეს და რამდენიმე ზარბაზანი წაართვესო.

— როგორც წინადაცა გწერდით, ფილიპეს კუნძულების მეამბოხეთ სა კუთარი მთავრობა დაიარსეს და მინისტრები აირჩიეს. მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტად არჩეულ იქმნა ენრიგე აგვინალდო, შინაგან საქმეთა მინისტრად-აბაირა, გარეშე საქმეთა-ფერიასი, სამხედრო-ბალდომერო აგვინალდო, ხოლო კაბინეტს სათავეში უდგა თვით მეამბოხეთა წინამძღოლი ემილიო აგვინალდო. ამ რიგად სამინისტრო აგვინალდოებმა ჩაიგდეს ხელთ. ეჭვი არ არის ეს გარემოება ტუდად იმოქმედებს სხვა მეამბოხეებზედ და ახლო მომავალში შურსა ჯ მტრობას აღძრავს მათ შორის.

— გაზეთების სიტყვით, ამერიკელები მეტად კარგად ექცევიან ტუკე-ესპანელებს. ყველგან, სადაც ტუკე ოფიცერს დაინახავენ, აღტაცებით და სიხარულით ეგებებიან თურმე. განსაკუთრებით ამერიკელებს ძალიან შეჰყვარებიათ ადმირალი სერვერი. მათ ხელის მოწერაც კი გაუმართავთ, რათა მოკრებილის ფულით მიწა იყიდონ და სერვერს მიართვან საჩუქრად.

—

საფრანგეთი. დრეიფუს-ზოლას საქმემ მთელი საფრანგეთი ორ დიდ დასად გაჭეო: დრეიფუს ზოლას მომხრეებად და მოწინააღმდეგებად. ამ მომხრეებსა და მოწინააღმდეგებს შორის დამოკიდებულება იმდენად გამწვავდა, რომ ისე დღე არ გაიელის, შეტაკება არ მოხდეს. აი, სხვათა შორის ერთ ასეთი მაგალითიც. ამას წინად ქ. ნანტში საფრანგეთის ბუნების მეტეოროლოგიერ სტატსკი სოვეტნიკები“ და დანარჩენი „სოვეტნიკები“. რა უნდა ექმნა ნემვროდს? კარგიო,— უპასუხა, მომიცია „დეისტვიტელნი სოვეტნიკობა“, ხოლო იმ პირობით კი, რომ თქვენი ფეხი საბჭოში არ იყოსო. ამ გვარად გაჩნდნენ აუარებელი „დეისტვიტელნი, სტატსკი, იუსტიციისა, კომერციისა და სხვა სოვეტნიკები, რომელთა ღირსება იყო მხოლოდ ნამდვილი და განუსაზღვრელი თავმოყვარეობა და მეტი არაფერი. არც ეს იყო საკმარისი და საახალწლოდ გაჩნდნენ ბრავალნი ასესორები, სეკრეტრები და საიდუმლო მწერლები, რომელთა შრომა და სამსახური იმათთვისაც საიდუმლოებას შეადგენდა.

და რაც დაიწყო ნემვროდ I-მა, ის კეთილ-სინიდისიერად განაგრძო ნემვროდმა II, III, და სხვ. ყველა ზემოდ ჩამოთვლილ სოვეტნიკებს გარდა გაჩნდნენ კიდევ კონფერენც-ადმირალ-სოვეტნიკები, კონსისტორიისა და საელჩოს სოვეტნიკები და სხვა. ბოლოს პრუსიის ერთმა ნემვროდმა მოიგონა სულ ახალი სახელი „ტიტულიარნი“ სოვეტნიკი, ესე იგი ისეთი სოვეტნიკი, რომელსაც მხოლოდ ტიტული ანუ სახელი აქვს სოვეტნიკისა. აბა ეხლა წარმოიდგინეთ, რას უნდა ნიშნავდეს „ნამდვილი“ ანუ დეისტვიტელნი და ამავე დროს ტიტულიარნი სოვეტნიკი, რომელსაც მხოლოდ სახელი აქვს სოვეტნიკისა ე. ი. ნამდვილი სოვეტნიკი, რომლის სინამდვილე მხოლოდ სახელია სოვეტნიკისა!

არც ეს იყო საკმარისი! ავადმყოფნი მაინც ვერ განიკურნენ კეთილშობილთა თავმოყვარეობის სენისაგან! ამგვარ ავადმყოფთა დაკმაყოფილებას, მგონია, ვერც ერთი ნემვროდი ვერ შესძლებს.

თვით ავადმყოფობის ნიშნებისა და იმის შესახებ, თუ რა წამალი მოუხდება ამ საშინელს სენს, შემდეგ მოვილაპარაკებთ.

ა. ნ.

(დასასრული იქნება)

დათ ხალხში და ყველანი დიდს პატივსა სცემდნენ.

მაგრამ ნემვროდსა ჰყავდა რამდენიმე მოხუცი ბიძა, ხოლო იმის ცოლებს რამდენიმე ახალგაზდა ბიძაშვილი და დეიდა-შვილი, რომელთა ღირსება მხოლოდ ის გახლდათ, რომ კარგი გვარეულობისა ბრძანდებოდნენ და იმ დროს-კი ეს არც თუ დიდი ღირსება იყო, ამათ ბატონი არაოდეს არაფერ საქმეში არ ეკითხებოდა რჩევას და ამიტომ ხალხმა გადასწყვიტა, რომ მათი ფასი გრო შია. ეს ძლიერ იწყინეს ამ ვაჟბატონებმა და დარდისაგან შეხვდათ საშინელი სენი—კეთილშობილთა თავმოყვარეობა, მაშინ ხომ არც ინფლუენცა იყო ჯერ და არც ციებცხელება.

მოერიათ თუ არა ეს სენი, ნემვროდის ბიძებმა მიჰმართეს ბატონს და სთხოვეს, ჩვენც მიგვიღე „სოვეტნიკების“ საბჭოშიო. ესევე სთხოვეს ცოლების ბიძა-შვილებმა და დეიდა შვილებმა. ნემვროდი გულკეთილი კაცი იყო. ბატონი ბრძანდებითო, უპასუხა და სოვეტნიკობა უბოძა. თვით ნემვროდს შეეძლო ხომ ვისი რჩევაც უნდოდა, გაეგონა და ვისიც არა, არ გაეგონა. ამიტომ ასე იფიქრა, რადგანაც არაოდეს არა ვთხოვ რჩევას, „სოვეტნიკობაც“ მოსწყინდებათო და თითონ დაანებებენ თავს ამ თანამდებობასაო.

ნემვროდი მოსტყუვდა. სოვეტნიკების საბჭოს ახალნი წევრნი იმდენ სისულელეს როშავდნენ საბჭოში, რომ საქმის განხილვას უშლიდნენ საბჭოს და გარდა ამისა, ისეთს საქმეში ეჩხირებოდნენ, რომლისაც არაფერი გაეგებოდათ. მეტი გზა არ იყო, ნემვროდმა თვისი საბჭო დაჰყო ცალკე განყოფილებად ანუ „დეპარტამენტებად“ იმის მიხედვით, რა საქმე უნდა განეხილათ „სოვეტნიკებს“. ვისაც ვაჭრობისა გაეგებოდა რამ, „კომერციის სოვეტნიკები დაარქვა, სამხედრო საქმის მცოდნეთ—სამხედრო სოვეტნიკები, ვისთანაც ლაპარაკი ჰქონდა ხოლმე თავის საკუთარ, შინაურ საქმეებზე—კამერსოვეტნიკები, კანონების მცოდნეთ—იუსტიც-სოვეტნიკები, ვისაც სახელმწიფოს საქმეები გაეგებოდა—სტატსსოვეტნიკები, ხოლო იმათ, ვისი ცოდნა, ნიჭი და უნარი არავინ იცოდა და საიდუმლოებით იყო დაფარული, ამათ სახელად უწოდა საიდუმლო, ანუ ტაინი სოვეტნიკები. რაღა თქმა უნდა, რომ სწორედ ამ საიდუმლოებისა გამო ტაინი სოვეტნიკებს უფრო დიდი მნიშვნელობა და პატივი ჰქონდათ, რადგანაც არავინ იცოდა, რას აკეთებდნენ ან რა უნდა გაეკეთებინათ საბჭოში.

მაგრამ არც ეს ღონისძიება გამოიდგა კარგი. ყველა სოვეტნიკი გადაიქცა კეთილშობილ თავმოყვარეობის სოვეტნიკად და ბატონი იძულებული შეიქმნა დროგამოშვებით მოეხდინა ხოლმე საგანგებო კრება, მიეწვია მხოლოდ მცოდნე და გონიერი სოვეტნიკები და ისე გაერჩია საქმე, ვიდრე სხვა სოვეტნიკები სახლში ისხდნენ. ამგვარად ეხლა ორ გვარი სოვეტნიკებილა იყვნენ—ნამდვილი, ანუ „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკები“ და

კრება ᲭᲥᲝᲜᲓᲐᲗ. კრების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა პროფესორი გრიმო, რომელიც, როგორც მეითხველებს ეხსომებათ, დიდი მომხრეა ზოლასი. რომელმაც საქმის გარჩევის დროს ზოლას სასარგებლოდ იდაპარაკა. როდესაც გრიმომ თავმჯდომარის ადგილი დაიჭირა და სიტყვის წარმოთქმა მოიწადინა, იქ დამსწრე დრეიფუსის მოწინააღმდეგეთ ისეთი უვირიანი დაადეს ქოთი ასტეხეს, რომ პროფესორს ლაპარაკის ნება ალარ მისცეს. გრიმო იძულებული გახდა კრება შეეწყვიტა. უვირიანი და აურ-ხაური დიდხანს არ შეწყვეტილა თურმე.

—

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. დღეს გერმანიის სალაპარაკოდ აᲬ გარდატეხილებული ბისმარკია. გაზეთებმა გარდატეხილების მეორე დღესვე დაᲭᲑᲔᲭᲓეს სიკეთ-დასხვა სიაღუმლო ამბავი იმის ცხოვრებიდან. უველაზედ მეტად საზოგადოების ყურადღება მიიქცია ბისმარკის მეგობარმა და იმის მახლობელმა თანამშრომელმა ბუშმა, რომელმაც რამდენიმე წერილი დაᲭᲑᲔᲭᲓა გაზეთებში ბისმარკის შესახებ. ბეგრს არ ესიამოვნა ეს ამბავი და უსაყვედურა ბუშს, რომ ჯერ დასაფლეველებს მაინც დაეცლიდითო. ეხლა გაზ. „Times“-ში ბუშში თავის გასამართლებლად სწერს: „სიტყვლის დროს ერთხელ თვით ბისმარკმა მითხრა შემდეგი სიტყვები: ჩემის სიკვდილის შემდეგ, თქვენ დასწერავთ ჩვენის დროის ისტორიას, ნამდვილს და ᲭᲣმარიტს სიბუთებზედ დამყარებულსო. მე მიუგე: დიდ, თქვენო ბრწყინვალებავ, მე დავწერ ასეთს ისტორიას და დავწერ მაშინვე თქვენ გარდატეხილების შემდეგ. ბისმარკმა ბრაფერი არ მოიგო“.

ნაკვეთი

—

— თუ ნისიას არ მოიტეთ, მოსამართლეს მივმართავ.

— არ გიჩჩევ, ტეუილად გაიჯვები.

— ტეუილადაო? რატომ ეგა?

— ამიტომ-რომ ის ჩემს ვალს არ გადაგიხდის.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲒᲐᲜ

(ამოკრებილი ამბები)

დიდი ხანია გავიდა ის დრო, როდესაც ამერიკის პრეზიდენტის სახლში იმის ოჯახობის თეთრეულს აშრობდნენ. დიდს დარბაზში ეხლა მარტო დიდი კაცები მიდიან სადარბაზოდ პრეზიდენტთან. უწინ პრეზიდენტი ისეთივე თავისუფალი კაცი იყო, როგორც სხვები არიან. ეხლანდელი პრეზიდენტი ტყვეა, დიდს სასახლეში დამწყვდეული.

პრეზიდენტი გარრისონი სწერდა: „სულ უბრალო მჭედელი მუშაობას რომ გაათავებს, ხელებს დაიბანს და არხეინად მიდის სახლში. დილით, ვიდრე მუშაობას დაიწყებდეს, ცოტა დრო მაინცა აქვს გასასეირნებლად. პრეზიდენტს-კი ერთი წუთი თავისუფალი დრო არა აქვს.

ადგება თუ არა დილით, საწერს მაგიდას მიუჯდება და ჯერ აუარებელი წერილები უნდა წაიკითხოს. მერე ათასობით მოდის ხალხი პრეზიდენტთან სალაპარაკოდ. თითოეულს ამერიკელს პრეზიდენტი სახელმწიფოს მონად მიაჩნია, რომელიც მოვალეა ყველა კაცს მოუსმინოს თხოვნა. განსაკუთრებით თავს აბეზრებენ დეპუტატები, რომელთაც პრეზიდენტი უფროსად სრულიადაც არ მიაჩნიათ. დღეს ეგ არის პრეზიდენტად და ხვალ მე ვიქნებიო, ასე ჰფიქრობს ყველა დეპუტატი. მერე ათასობით თხოვნები უნდა წაიკითხოს. ძლიერ ბევრი თხოვნაა შესახებ იმისა, რომ სიკვდილით დასასჯელი კაცი გვაჩუქეთო. ამ თხოვნებს პრეზიდენტი კლეველენდი კითხულობდა და მხოლოდ იმის ჯანის პატრონს შეეძლო იმდენი მუშაობა.

სხვა არა იყოს რა პრეზიდენტმა თავისს არჩევანების შემდეგ 50 ათას კაცს უნდა ჩამოართვას ხელი. ერთად-ერთი საშუალება ის არის, რომ პრეზიდენტი უნდა ეცადოს ყველას თითონ მოუჭიროს ხელი ხელზე, თორემ თუ ეს სხვებს დაანება, ერთის კვირის შემდეგ ხელის სიმდაბლე მოუვა. საზოგადოდ ამერიკის პრეზიდენტს იმდენი საქმე აქვს და იმდენსა შრომობს, რომ თუ ჯანსაღი კაცი არა, სხვა ერთს დღესაც ვერ აიტანს ამოდენა შრომას.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

31 ივლისი

ᲠᲐᲠᲐᲢᲝᲕᲘ. საგუბერნიო საერობო გამგეობამ დაადგინა, რომ გუბერნიას სულ ცოტა 2 მილიონი მანათი უნდა მიეცეს სესხად გამოსაკვებადა, გარდა საქონლის გამოკვებისა. საოესლე ᲭᲕᲐᲕᲘ იყიდება 73—75 კაპეიკად.

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ. სარტატელას მახლობლად ᲰᲜᲐᲮᲔᲡ მეამბოხენი, რომელნიც ᲰᲧᲕᲘᲠᲝᲓᲜᲔᲡ: „გაუმარჯოს რესპუბლიკასაო!“ ჟონდარმე უკან მისდევენ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. პეკონიდგან დეპეშით სწერენ „Times“-ს, რომ მთავრობა თანხმაა ყველა იმ პიროპებზე, რომლებიც წარუდგინა მას რუსეთის წარმომადგენელმა პავლოვმა ნიუჩვონის რკინის გზის შესახებ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. კერზონი დანიშნულ იქმნა ინდოეთის ვიცე-კოროლად.

საზოგადოებათა პალატა. ზოგიერთი ორატორები ᲰᲙᲘᲪᲮᲐᲕᲔᲜ ჩინეთის მთავრობის პოლიტიკას. გარკორტი ᲰᲙᲘᲪᲮᲐᲕᲡ იმათ, ვინც რუსეთის წინააღმდეგ ლაპარაკობენ. „ამის გამოო, სთქვა გარკორტმა, მეგობრობა შეუძლებელი ხდება. უნდა გვახსოვდეს, რომ ომი რუსეთთან ზღვაზე კი არ მოხდება, არამედ ხმელეთზე. კეთილგონიერი კაცები საქმეს პეკონში უსიავნებით კი არ გადასწყვეტავდნენ, არამედ ლონდონსა და პეტერბურგს შორის მოლაპარაკებით.

ᲧᲐᲖᲚᲝᲜᲘ. სამ საათიდგან იწვის ქვემო ნაწილი ქალაქისა, რომელიც რკინის გზის სადგურთან არის. დაიწვა რამდენიმე ქარხანა, ყაზარმები ᲡᲐᲡᲝᲑᲘᲗ სახლები. ზარალი აუარებელია. ცეცხლი ჯერ ვერ გაუქრიათ. ძლიერი ქარი ქრის.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

—

წარმოდგენიდგან, რომელიც გამართული იყო შარშან დეკემბერში ქ. დუშეთს კნეინა დარია ალექსანდრეს ასულის ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫის თაოსნობით, გადიდო, სხვათა შორის, დუშეთის საერო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ 37 მანათი. დღეს, როდესაც ამ წიგნთ-საცავის დაარსება მოახლოვდა, მივიღეთ კნეინას მეუღლესაგან, თავად ნიკოლოზ გულბაათის ძის ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫისაგან, 37 მანათის მაგიერ, ოთხი თუმანი. გარდა ამისა, თავადმა ვასილ ლუკას ძემ თარხან-მოურავმა შემოსწირა წიგნთ-საცავ სამკითხველოს ორი თუმანი და 68 კაპ.

დუშეთის საერო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგეობა გულითადს მადლობას უცხადებს ზემოხსენებულთ შემოწირულობის კეთილ-მხრუნველობისათვის.

გამგე ერეთეოზ ყარანგოზიშვილი
ხაზინადარი ა. იაშვილი
მეწიგნთ-საცავე ვანო ლუარსამიძე

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქალაქის გამგეობი-საკე დარბაზში ამა წლის 10 აგვისტოს ნაშუადღევის 1 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა უპატრონო ძაღლების დასოცვის იჯარით გასაცემად პირობების შეტეობა შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე.

(3—ნ.—2)

(11—ᲛᲐ—2)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ისყიდება შემდეგი წიგნები:

	მან.	კაპ
საბალხო ლექსები და ლეგენდები . . .	„	20
საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა	1	„
საქართველოს ისტორია მ. ბროსესი	„	70
მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა „		20
წყარო წიგნი II მისივე .	„	50
ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა	„	40
როგორა ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად . .	„	25
ქ. ნიკოლაძის ნაწერები .	„	30
კეთილი ძაღლი . . .	„	20
თხზულ. მამია გურიელისა	1	„
ქრონიკები თ. ჟორდანიასი	3	„
ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე.	„	25
ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე	„	50
თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა.	„	15
სვიმონ მეფე, მისივე . .	„	10
როსტომ მეფე, მისივე .	„	10
წყარო არ. ქუთათელაძისა I წიგნი	„	40
გედები. საყმაწვილო წიგნი	„	20
პარტახი მოთ. ნინოშვილისა	„	20
ბიროემანსი. კარგარეთელისა	1	„

КЪ ВОПРОСУ

О поднятіи образованія среди грузинскаго дворянства.

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. წმინდა შემოსავალი დანიშნულია სასარგებლოდ დამშეულთა საქართველოში და რუსეთში. ფასი ერთი აბაზი. ვინც ათს წიგნს ან მეტს იყიდის, იმას წიგნი დაეთმობა 16 კაპეიკად. მყიდველი უნდა მიჰმართონ ხსენებულს მაღაზიას. (12—4)

მიიღება ხელის მოწერა რუსულ-ქართულ

ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝᲞᲔᲓᲘᲣᲠ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲖᲔᲓ

ლექსიკონში განმარტებული და აწერილია ქართულად ყოველი შესანიშნავი ქვეყანა, ქალაქი, დაბა, ციხე, მონასტერი, ეკლესია, მთები, წყლები, გამოჩენილი პირები და გვარები, სამეცნიერო საგნები, რჯულნი, მოძღვრებანი და სხვა. მარტო პირველს წიგნში, ასო ᲐᲜᲖᲔ, განმარტებული და აწერილია ორი ათასზე მეტი სიტყვა და საგანი. მათში განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული ცნობებზე ჩვენის ქვეყნის შესახებ, რომლებიც აწერილია უფრო მეტის სავსებით. მთელი ლექსიკონი გამოვა 15 წიგნად, თითო 160—200 გვერდად, სამს თვეში თითო, და ეღირება ხელის მოწერთათვის მარტო 12 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ, რომელიც მსურველს შეუძლიან ორ-ორ მანეთობითაც შემოიტანოს. მივიღებთ აგრეთვე მოკლე-მოკლე სტატიებს ჩვენს ლექსიკონში დასაბეჭდათ; ასეთს სტატიებს მოვუწერთ მათის ავტორების სახელ-გვარს. მეორე წიგნი ასო ᲑᲐᲜᲖᲔ უკვე იბეჭდება და გამოვა ენკენისთვეში.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Въ Тифлисъ, Ивану Павловичу Ростомашвили. (10—104—4)

„ᲦᲐᲛᲔ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐ“

განსაკუთრებულ ღირსების ფხვნილი მწერების დასახოცად.

შეუდარებელი რამ არის ეს „Р. ᲙᲔᲚᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮ.“ მოსკოვის ქარხანაში დამზადებული ფხვნილი. ისყიდება ყველგან ყველა დიდ ვაჭართან. (Спокойной ночи!) (3—Მ.—1)

ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ რკინის გზის მიმოსვლა

უმთავრესი სადგურები	მატარ. № 1 ბაქოდგან ბათუმამდე		მატარ. № 2 ბათუმიდგან ბაქომდე		მატარ. № 3 ბაქოდგან ბათუმამდე		მატარ. № 4 ბათუმიდგან ბაქომდე	
	შედის	გამოდ.	შედის	გამოდ.	შედის	გამოდ.	შედის	გამოდ
ბათუმი	8.47	—	—	8.20	8 33	—	—	8.35
სამტრედია	5.31	5.46	11.21	11.36	4.50	5.05	12.05	12.20
უვირიდა	3.37	3.47	1.22	1.32	2.48	2.58	2.16	2.26
ხაშური	12.41	12.56	4.38	5 00	11.47	12.02	5 26	5.41
გორი	11.23	11.32	6.06	6.18	10.23	10.33	6.45	6.55
ტფილისი	8.26	9.10	8.22	9 05	6.33	7.48	9.07	10.57
აქსტაფა	5.23	5.32	11.43	11.51	2.53	3.18	1.45	2.08
განჯა	2.23	2.37	2.35	2 55	11.39	11.54	5.18	5.40
უჯარა	10.43	10.53	6.08	6.20	7 39	7.49	9.14	9.24
აჯიკაბული	7.29	7.44	9.19	9.30	3.57	4.17	1.00	1 25
ბაქო	—	4.05	12.59	—	—	12.20	5.45	—

შენიშვნა: ᲨᲐᲮᲡ ᲮᲐᲖᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲧᲒᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ და წუთი ღამესა ᲭᲜᲘᲫᲮᲐᲡᲘ, უსაზღ—დღეს.

სამტრედიასა და ფოთს შორის ორი მატარებელი დადის: პირველი სამტრედიიდგან გადის დილის 5 საათსა და 05 წუთ. და ფოთში შედის დილის 7 საათსა და 42 წუთ., მეორე—სამტრედიიდგან გადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ფოთში შედის საღამოს 10 ს. 08 წ.; პირველი—ფოთიდგან გამოდის საღამოს 8 ს. 55 წ. და სამტრედიაში მოდის საღ. 11 ს. 30 წ., მეორე ფოთიდგან გამოდის დილის 6 ს. 27 წ., სამტრედიაში მოდს დილის 8 ს. 55 წ.

სამტრედიასა და რიონს შორის; სამტრედიიდგან გადის დილის 9 ს. 10 წ., რიონში ჩადის დილის 10 ს. 02 წ. და ესევე მატარებელი რიონიდგან ქუთაისს გადის 10 ს. 10 წ. და ქუთაისში ჩადის 10 ს. 35 წ.

რიონიდგან ქუთაისსვე გადის მატარებელი დილის 5 ს. 30 წ., ქუთაისს ჩადის 5 ს. 55 წ., ქუთაისიდგან რიონს გამოდის დღის 5 ს. 20 წ., რიონში ჩადის 5 ს. 45 წ.

შორაპან-რიონი. შორაპნიდგან გადის დილის 7 ს., რიონში ჩადის დილის 8 ს. 11 წ., რიონიდგან გადის დღის 2 ს. 53 წ., შორაპანში ჩადის დღის 4 ს. 02 წ. ეს მატარებელი შორაპანსა და ქუთაისს შორის პირდაპირ დადის და მგზავრთ სხვა მატარებელში გადასხდომა არა სჭირდებათ.

რკინის გზის სააგარაკო მატარებლების მიმოსვლა.

ტფილისსა და გორს შორის: ტფილისიდგან გადის დილის 10 ს. 15 წ., გორში ჩადის ნაშუადღევის 12 ს. 48 წ., გორიდგან გამოდის საღამოს 7 ს., ტფილისში ჩამოდის საღამოს 9 ს. 18 წ.

ტფილისსა და ბორჯომს შორის: ტფილისიდგან გადის ნაშუადღევის 2 ს. 30 წ., გორში ჩადის 4 ს. 58 წ., ხაშურში—საღამოს 6 ს. 29 წ., ბორჯომში—7 ს. 50 წ., ბორჯომიდგან გამოდის ღამის 1 ს. 44 წ., ხაშურში ჩამოდის ღამის 2 ს. 54 წ., გორში—ღამის 4 ს. 33 წ. და ტფილისში—დილის 7 ს. 33 წ.

ტფილისსა და მცხეთას შორის: ტფილისიდგან ორი მატარებელი გადის—ერთი—დილის 8 ს. 20 წ., და მცხეთაში ჩადის დილის 9 ს. 16 წ., მეორე—ტფილისიდგან გადის ნაშუადღევის 5 ს. 20 წ., მცხეთაში ჩადის საღამოს 6 ს. მცხეთიდგანაც ორი მატარებელი მოდის ტფილისისაკენ: პირველი მცხეთიდგან გამოდის დილის 10 ს. 8 წ. და ტფილისში ჩამოდის—10 ს. 52 წ. მეორემცხეთიდგან გამოდის საღამოს 6 ს. 45 წ., ტფილისში ჩამოდის—7 ს. 23 წ.

ბათუმსა და ქობულეთს შორის: ბათუმიდგან სამი მატარებელი გადის: ერთი—დილის 7 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის—დილისვე 8 ს. 15 წ., მეორე—ნაშუადღევის 2 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის 3 ს. 10 წ., მესამე—ნაშუადღევს 5 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის საღამოს 6 ს. 10 წ.; ობულეთიდგანაც სამი მატარებელი მიდის. ბათუმს: პირველი—დილის 11 ს. 15 წ. და ბათუმში ჩადის ნაშუადღევის 12 ს. 12 წ., მეორე—ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. და ბათუმში ჩადის 4 ს. 37 წ., მესამე—საღამოს 6. ს. 45 წ. და ბათუმში ჩადის საღამოსავე 7 ს. 40 წ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 31 го Іюля. 1898 г. სტამბა შ. ბარამიანისა და ამხანაგობისა. რედაქტორ გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.